



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 122/ს
03/06/2022

122-21-4-202206030913



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში შპს „ქისტოუნ აგროს“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ქისტოუნ აგროს“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ქისტოუნ აგროს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში 603 604 მ² ჯამური ფართობის მქონე (60 ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 43.01.47.482; 43.01.05.672; 43.01.05.677; 43.01.05.678; 43.01.05.668; 43.01.05.669) დაგეგმილი აქვს მოცვის ბაღების გაშენება და 180 000 ლურჯი მოცვის ნერგის დარგვა. საპროექტო ტერიტორიიდან ოთხი საკადასტრო ერთეული წარმოადგენს შპს „ქისტოუნ აგროს“, ხოლო ერთი (ს/კ: 43.01.05.668) - შპს „ჯენტრი ინვესტმენტის“ საკუთრებას. აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს ერთმანეთის მომიჯნავედ და ფინანსური რესურსების დაზოგვის მიზნით, კომპანიების შეთანხმების საფუძველზე, დაიგეგმა ერთობლივი სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია, რასაც განახორციელებს შპს „ქისტოუნ აგრო“. წყალაღების წერტილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 213 მეტრით, ხოლო წყლის გამანაწილებელი სატუმბი სადგურიდან - 240 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩხოუში, მიედინება საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 280 მეტრში. წყალაღების წერტილიდან დაახლოებით 40 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე-უსაფრთხოების მიზნით, საპროექტო მიწის ნაკვეთების პერიმეტრი შემოღობილია და დაცულია უცხო პირთა მოხვედრისაგან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება დაგეგმილია მდ. ჩხოუშიდან, რისთვისაც ზედაპირული წყლის ობიექტზე მოეწყობა 100 მ³/სთ წარმადობის ელექტრო ტუმბო. დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, აღნიშნული ტუმბო

განთავსდება გოფირებულ, დახვრეტილ მილში. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X – 741354.00; Y – 4718085.00. წყალაღების წერტილიდან წყლის გამანაწილებელ სატუმბ სადგურამდე მისაყვანად და ტერიტორიის ელექტრომომარაგების მიზნით, დაახლოებით 431 მეტრზე, გრუნტში (40 სმ სიგანის და 60 სმ სიგრძის ტრანშეა) განთავსდება მაღალი სიმკვრივის, პოლიეთილენის მილსადენი და ელექტროსადენი, რომელიც თავის მხრივ მოთავსდება სპეციალურ დამცავ მილში. წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობა დაახლოებით 365 მ მანძილზე გაუყვება არსებული გრუნტის გზის კონტურს და დასრულდება წყლის გამანაწილებელ სატუმბ სადგურთან (GPS კოორდინატები: X - 741086.40; Y - 4718339.81). წვეთოვანი სისტემისთვის დაგეგმილია მსუბუქი კონსტრუქციის, მცირე ზომის (15 მ²) წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა, სადაც დამონტაჟდება ფილტრები, განთავსდება დამწნეხი ტუმბოები (4 ერთეული; ჯამური წარმადობა 0,028 მ³/წმ) და ავტომატური მართვის ელემენტები. ტუმბოებისთვის მოეწყობა ელექტრო დაცვის პანელი სიხშირული მართვით. წყლის გამანაწილებელი სატუმბი სადგურიდან მოცვის ბაღებამდე სარწყავი წყალი მიყვანილი იქნება 4 290 მ სიგრძის მილსადენით, რომლის უმეტესი ნაწილი განთავსდება მიწის ზედაპირზე. მხოლოდ არსებული გრუნტის გზების გადაკვეთის წერტილებში მოხდება მილსადენის განთავსდება მიწის ქვეშ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე გათვალისწინებული მილსადენი, მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე, 2 ადგილას გადაკვეთს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებულ გაზსადენს (GPS კოორდინატები: X - 741229.49; Y - 4718245.78 და X - 741096.34; Y - 4718350.64), ერთ ადგილას საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ბუფერს (GPS კოორდინატები: X - 740608.61; Y -4717970.04) და 6 წერტილში - გრუნტის საავტომობილო გზას (GPS კოორდინატები: X -740924.05; Y - 4718419.75; X - 740951.45; Y - 4718474.05; X - 740981.44; Y - 4718477.01; X - 740707.75; Y - 4718119.24; X - 740556.78; Y - 4717891.94 და X - 740613.58; Y - 4717980.09; X -740608.61; Y - 4717970.04).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. საპროექტო მილსადენის განთავსებისათვის საჭირო ტრანშეა მოეწყობა ერთი ექსკავატორის გამოყენებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიამდე დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა გათვალისწინებული არ არის. სამელიორაციო სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება 12-14 დღის განმავლობაში და დასაქმებული იქნება 12-15 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცვის ერთი ძირი ზრდასრული ნერგის მოსარწყავად დღე-ღამეში საჭიროა მაქსიმუმ 6 ლიტრი წყალი. დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, მოცვის ბაღების მოსარწყავად, წელიწადში გათვალისწინებულია 194 400 მ³ წყლის აღება. მდ. ჩხოუშის წყლის სარწყავად გამოყენება მოხდება სეზონურად, 6 თვის (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) განმავლობაში. სარწყავად ასაღები წყლის რაოდენობა, თითოეულ თვეს, შეადგენს 32 400

მ³-ს. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით მდ. ჩხოუშიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მიწისქვეშა მილსადენის მოწყობამდე საპროექტო უბანზე არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება და დასაწყობდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მიწის სამუშაოებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება ტრანშეის ერთ მხარეს, ხოლო ამოღებული გრუნტი - ტრანშეის მეორე მხარეს. საპროექტო მილსადენის ტრანშეაში განთავსების შემდგომ, ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, ხოლო დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განფენა მოხდება გრუნტის ზედაპირზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების განთავსებას. სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის (12-14 დღე) და გამოყენებული ტექნიკის (1 ერთეული ექსკავატორი) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე, ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ექსკავატორი. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, განხორციელების შემჭიდროებული ვადების, გამოსაყენებელი მცირე რაოდენობის ტექნიკისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება წყალაღების წერტილში და წყლის გამანაწილებელ სატუმბ სადგურში განთავსებული ტუმბოები. წყალაღების წერტილიდან და გამანაწილებელი სატუმბი სადგურიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილებისა და ტუმბოების სიმძლავრის გათვალისწინებით, ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ წყალაღების წერტილში გათვალისწინებული ტუმბო განთავსებული იქნება წყლის ქვეშ, ხოლო 4 ერთეული დამწნეხი ტუმბო - წყლის გამანაწილებელი სადგურის მსუბუქ კონსტრუქციაში (კონტეინერში), სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. დოკუმენტის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით უარყოფითი გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას და გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ვიზუალური შეფასებით საპროექტო და მიმდებარე არეალი ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია. აქ წარმოდგენილია მხოლოდ ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მერქნული მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, სამელიორაციო სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების შესაბამისად, წყალაღების წერტილიდან დაახლოებით 40 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე, რომელიც სამელიორაციო სისტემის მილსადენის დერეფნიდან დაშორებულია დაახლოებით 5 მეტრით, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში შპს „ქისტოუნ აგროს“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქისტოუნ აგრო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქისტოუნ აგროს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქისტოუნ აგროს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო